შპს გროუნდ ჰენდლინგური კომპანია

„თბილისი. TBS“

ს/ნ 208192490

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ფორმა 1) 2
2. ფინანსური საქმიანობის შედეგების ანგარიშგება (ფორმა 2) 4
3. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება (ფორმა 3) 5

განმარტებითი შენიშვნები

1. კორპორაციული ინფორმაცია
2. მომზადების საფუძველი
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები
5. კომპანიის შემოსავალი და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები
7. სხვა საოპერაციო ხარჯები
8. ფინანსური ხარჯები
9. ფული და ფულადი ექვივალენტები
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
11. კაპიტალი
12. წინასწარ გადახდილი გადასახადები
13. მიღებული სესხები
14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები
15. პირობითი ვალდებულებები
16. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

თანხები წარმოდგენილია ლარებში, თუ სხვა გვარად არ არის მითითებული

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

დასახელება	მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2021	მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2020	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2019
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები (1110/1210/1220)	1 119 582,00	844 672,00	635 994,00
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან (1410/1411)	87 840,00	115 296,00	79 749,00
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ (1430/1435/1790)	24 641,00	0,00	0,00
გადახდილი ავანსები (1485/3340)	47 904,00	77 880,00	51 982,00
მარაგები:			
საქონელი (1610)	0,00	0,00	0,00
სხვა მარაგები (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები)	3 916,00	5 837,00	3 147,00
ძირითადი საშუალებები:			
მიწის ნაკვეთები (2110)	0,00	0,00	0,00
შენობები-ნაგებობები (2130/2140)	832,00	876,00	922,00
მანქანა - დანადგარები (2150)	85,00	93,00	116,00
ოფისის აღჭურვილობა (2160)	3 973,00	3 195,00	3 994,00
ავეჯი (2170)	447,00	314,00	387,00
ინვენტარი (2170)	8 783,00	6 730,00	8 370,00
სატრანსპორტო საშუალებები (2180)	223 355,00	193 339,00	241 675,00
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა (2190)	7 716,00	8 123,00	8 550,00
არამატერიალური აქტივები (2580)	73,00	1 047,00	594,00
სულ აქტივები	1 529 147,00	1 257 402,00	1 035 480,00

შპს გ.ჰ.კ. "თბილისი.TBS" ს/ნ 208192480
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ლარებში, თუ სხვა გვარად არ არის მითითებული

დასახელება	მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2021	მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2020	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2019
ვალდებულებები			
მოწოდებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები (3110)	307 444,00	364 784,00	168 957,00
მიღებული ავანსები (3120)	0,00	0,00	0,00
გადასახდელი ხელფასები (3130)	19 677,00	14 235,00	12 385,00
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე (3160)	0,00	0,00	0,00
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები (3190)	0,00	1 925,00	470,00
საგადასახადო ვალდებულებები (3300)	0,00	0,00	0,00
გადასახდელი დივიდენდები (3420)	0,00	0,00	0,00
მესაკუთრეებისგან ნასესხები სახსრები (3220-4140-4220)	351 660,00	0,00	0,00
ბანკებისგან ნასესხები სახსრები (3210 - 4140)	0,00	0,00	0,00
სულ ვალდებულებები	678 781,00	380 944,00	181 812,00
საკუთრი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი შპს -ში (5150)	7 000,00	7 000,00	7 000,00
გაუნაწილებელი მოგება (5310)	0,00	22 790,00	24 268,00
დაუფარავი ზარალი (5320)	26 092,00	0,00	0,00
რეზერვი გაუნაწილებელ მოგებიდან (5410)	869 458,00	846 668,00	822 400,00
სულ საკუთარი კაპიტალი	850 366,00	876 458,00	853 668,00
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1 529 147,00	1 257 402,00	1 035 480,00

ხელმძღვანელი:

ბუღალტერი:

თანხები წარმოდგენილია ლარებში, თუ სხვა გვარად არ არის მითითებული

ფორმა **N2**- საქმიანობის შედეგები

	მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდი 2021 წელი	მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდი 2020 წელი
ამონაგები:	715 885,00	596 478,00
მომსახურების გაწევის საქმიანობიდან	715 885,00	596 478,00
საქონლის გაყიდვის საქმიანობიდან	0,00	0,00
საწარმოო საქმიანობიდან	0,00	0,00
სხვა საქმიანობიდან	0,00	0,00
რეალიზებული პროდუქციის/მომსახურების თვითღირებულება	0,00	0,00
საერთო მოგება	715 885,00	596 478,00
სხვა შემოსავალი	0,00	0,00
დასაქმებულთა ანაზღაურების ხარჯები	-342 629,00	-222 102,00
ცვეთა და ამორტიზაცია	-54 716,00	-51 529,00
სამეურნეო ხარჯები	-295 612,00	-383 600,00
საპროცენტო შემოსავალი	0,00	0,00
საპროცენტო ხარჯები	0,00	0,00
მოგება და ზარალი (ვალუტის საკურსო სხვაობიდან)	-49020,00	136 566,00
სხვა ხარჯები	0,00	-53 023,00
მოგება (მოგების გადასახადით დაბეგვრამდე)	-26 092,00	22 790,00
მოგების გადასახადი	0,00	0,00
საანგარიშო პერიოდის მოგება / ზარალი	-26 092,00	22 790,00
განაწილება მესაკუთრეებზე (ანუ დარიცხული დივიდენდები)	0,00	0,00
გაუნაწილებელი მოგების საბოლოო ნაშთი	-26 092,00	22 790,00

ხელმძღვანელი:

ბუღალტერი:

შპს გ.ჰ.კ. "თბილისი.TBS" ს/ნ 208192480
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ლარებში, თუ სხვა გვარად არ არის მითითებული

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	საანგარიშგებო პერიოდი 2021 წელი	საანგარიშგებო პერიოდი 2020 წელი
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	*274 910,00*	*208 678,00*
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ნეტო ფულადი სახსრები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში	*0,00*	*0,00*
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	*0,00*	*0,00*
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	274 910,00	208 678,00
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	844 672,00	635 994,00
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	1 119 582,00	844 672,00

ხელმძღვანელი:

ბუღალტერი:

თანხები წარმოდგენილია ლარებში, თუ სხვა გვარად არ არის მითითებული

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორაციული ინფორმაცია

შპს გ.ჰ.კ. ,,თბილისი. TBS" არის შზღდული პასუხისმგებლობის საზოგადოება , რომელიც დაარსებულია საქართველოში 1999 წლის 11 აგვისტოს. შპს გ.ჰ.კ. ,,თბილისი. TBS" (შემდგომში ,,კომპანია") მდებარეობს მისამართზე: თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, თბილისის აეროპორტის შიდა ტერიტორია.

2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით კომპანიის წილის მფლობელები იყვნენ:

- ჯემალი გუნთაიშვილი – 20,0%
- მამუკა მესხი – 20,0%
- მალხაზ ჭყონია – 20,0%
- მერაბ ჭელიძე – 15,0%
- ნიკოლოზ კოკორევი – 15,0%
- ს/ს „თბილისის საერთაშორისო აეროპორტი" – 10,0%.

შპს გ.ჰ.კ. ,,თბილისი. TBS" ძირითადი საქმიანობის სფეროებია:

- ნებისმიერი სატვირთო, სატრანზიტო და სამგზავრო ჩარტერული ავიაგადაზიდვებისთვის მრავალმხრივი და სრულფასოვანი სააეროპორტო მომსახურების გაწევა უცხოური და ადგილობრივი ავიაკომპანიებისათვის, როგორც საკუთარი ისე სხვისი ძალებით;
- მგზავრთა დაკვეთით მათთვის ავტოტრანსპორტით მომსახურების გაწევა;
- სხვა იურიდიულ პირთათვის ავტოსატრანსპორტო მომსახურების გაწევა.

2. მომზადების საფუძველი

აღნიშნული ინდივიდუალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა კომპანიის მიერ მსს ფასს–ის (IFRS for SMEs) შესაბამისად, მსს ფასს-ის 1-განყოფილების ,, მცირე და საშუალო საწარმოები " და 3- განყოფილების „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა" გამოყენების დანერგვის ხელშეწყობის მიზნებისთვის 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

მსს ფასს–ის მიხედვით კომპანია პირველი წლის ფინანსურ ანგარიშგებაში მინიმუმ ორი საანგარიშგებო პერიოდისთვის ამზადებს შემდეგ ანგარიშგებებს: ფინანსური შედეგების (ანუ მოგება–ზარალი) ანგარიშგება, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება, ასევე, მინიმუმ სამი საანგარიშგებო პერიოდისთვის – ფინანსური მდგომარეობის (ანუ ბალანსი) ანგარიშგებას, შესაბამისად მზადდება განმარტებითი შენიშვნებიც. თუმცა, ,,ბუღალტრული აღრიცხვისა, ფინანსური ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" კანონის მიხედვით კომპანიას აქვს უფლება გამოსცეს მხოლოდ საანგარიშგებო წლის პერიოდის (ამ შემთხვევაში 2021 წელი) მოგება–ზარალის, ფულადი სახსრების მოძრაობისა და ორი პერიოდის საბალანსო ანგარიშგება (ამ შემთხვევაში 2020 წლის საწყისი და საბოლოო პერიოდები და 2021 წლის საბოლოო პერიოდის მონაცემები).
აღნიშნული ინდივიდუალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია მომზადდა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაყენებლად, კომპანიისთვის მსს ფასს –ზე გადასვლის ხელშეწყობის მიზნითა და ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის კანონის" მიხედვით დანიშნულებისამებრ წარსადგენად. კომპანიის მსს ფასს–ზე გადასვლის თარიღი არის 2017 წლის 1 იანვარი.

წინა პერიოდებიდან 2018 წლამდე კომპანია თავისი ფინანსური მაჩვენებლებით მიეკუთვნებოდა საწარმოთა მე-4-ე კატეგორიას, ხოლო 2020 და 2021 საანგარიშო წლის ფინანსური მაჩვენებლების მიხედვით ის უკვე შეესაბამება საწარმოთა მე-3-ე კატეგორიას.

აღნიშნული ინდივიდუალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია არ მოიცავს შედარებით ინფორმაციას გადასვლის თარიღამდე პერიოდებისათვის.
ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ფასების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ერთ ლარამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

3.1 უცხოური ვალუტა

ლარი არის შპს გ.ჰ.კ. ,,თბილისი. TBS" -ის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ტრანზაქციები აღირიცხება, ამ ტრანზაქციის განხორციელების დღის არსებული კურსით რომლისთვისაც გამოიყენება ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსი ან სს „თი ბი სი ბანკის" მიერ გამოცხადებული გაცვლითი კურსი, არჩევანი ამ ორ უკანასკნელ წყაროს შორის განისაზღვრება კონტრაქტით.

3.2 კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით

კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის;
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში;
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაშო
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ.

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

3.3 ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3.3.1 აღიარება და შეფასება

კომპანია ძირითად საშუალებებს აღიარებს როგორც ინდივიდუალურ აქტივებს შესაბამისი სასიცოცხლო ციკლით და ცვეთას არიცხავს პროპორციულად სასიცოცხლო ვადის განმავლობაში.
თუ კომპანიის მფლობელობაში არსებული ძირითადი საშუალებები, მათი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მოითხოვენ შეკეთებასა და შენახვასთან დაკავშირებულ ხარჯებს, აღნიშნული ხარჯები აღირიცხება მიმდინარე პერიოდის მოგება–ზარალის ანგარიშში.

ნებისმიერი შემოსავალი ან ხარჯი რომელიც წარმოიქმნება აქტივის ამოღებიდან (გამოითვლება როგორც განსხვავება შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) აღირიცხება იმ პერიოდის მოგება–ზარალში, როდესაც ხდება აქტივის ამოღება.

3. მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

3.3.2 ძირითად საშუალებებზე გაწეული დანახარჯები

თუ ძირთად საშუალებაზე გაწეული დანახარჯი გამოიწვევს ამ საშუალებისგან მიღებული შემოსავლის ზრდას, მაშინ ეს დანახარჯი ზრდის ამ აქტივის ღირებულებას. თუ დანახარჯი აუცილებელია რათა შენარჩუნდეს, ან აღდგეს აქტივის არსებული მდგომარეობა, მაშინ ეს დანახარჯი აღირიცხება მიმდინარე პერიოდის მოგება–ზარალში.

3.3.3. ცვეთა

ცვეთის დარიცხვა ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

დროებითი ნაგებობა	30 წლამდე
მანქანა-დანადგარები	5–10 წლამდე
ოფისის აღჭურვილობა	5 წლამდე
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5–10 წლამდე
სატრანსპორტო საშუალებები	5–10 წლამდე
სხვა	10 წლამდე

3.4 სასაქონლო–მატერიალური მარაგები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში გამოყენებისათვის განკუთვნილი, და არა იჯარით გაცემის ან სამომავლო განვითარების მიზნით, შეძენილი აქტივები კლასიფიცირდება როგორც სასაქონლო–მატერიალური მარაგები და აღირიცხება თვითღირებულებით.

კომპანიის საოპერაციო საქმიანობიდან გამომდინარე, მარაგები წარმოდგენილია ავტოტრანსპორტის საწვავის სახით. ამ სახეობა მარაგის გამოყენებასთან (გახარჯვასთან) დაკავშირებულ პროცესში, წარმოქმნილ რისკებს კომპანია იღებს საკუთარ პასუხისმგებლობაში.
ავტოსატრანსპორტო მომსახურების გაწევისათვის შეძენილი საწვავის მარაგები წარმოდგენილია შპს „უნიგრუპი"-ს საწვავის ტალონების სახით (ლიკვიდაციამდე) და სს „ვისოლ პეტროლეუმ ჯორჯია"-ს საწვავის ტალონების სახით, რომლებიც აღრიცხულია და დაცულია კომპანიის მენეჯმენტის მიერ შესაბამის ცეცხლგამძლე კარადაში.

3.5 შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მაშინ როცა სავარაუდოა, რომ კომპანიას ექნება ეკონომიკური სარგებელი და ეს შემოსავლები შეიძლება განისაზღვროს საიმედოდ. მიუხედავად იმისა, როდის მოხდება გადახდა (ანუ დარიცხვის მეთოდით). შემოსავლების განსაზღვრა ხდება მიღებული ან მისაღები სამართლიანი ღირებულებით, გადახდის პირობების გათვალისწინებით და გადასახადის გამოკლებით.

3.6 გადასახადები

3.6.1 მოგების გადასახადი

მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელ ან მათ მიერ დასაბრუნებელ ან ვალდებულებისაგან გასაქვით თანხას. ამ თანხის გამოსათვლელად გამოიყენება საგადასახადო განაკვეთბი და კანონები, რომლებიც მოქმედებს ან არსებითად ამოქმედებულია ანგარიშგების თარიღისთვის საქართველოში. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კანონმდებლობით გათვალისწინებული რეინვესტირებული მოგების გადასახადის განაკვეთი 0%–ს შეადგენს, თუმცა მოგების განაწილებისას დივიდენდების სახით გადასახდელი გადასახადი 15%–ის ტოლია.

5–13 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფილ ნაწილს

3. მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

3.6 გადასახადები (გაგრძელება)

3.6.2 დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლები, ხარჯები და აქტივები აღიარდება დღგ–ს გარეშე წმინდა ღირებულებით, გარდა:

- იმ შემთხვევაში, როდესაც ქონების ან მომსახურების შეძენისას გაწეული გაყიდვების გადასახადი არ არის ამოღებადი საგადასახადო ორგანოდან, ამ შემთხვევაში, გაყიდვების გადასახადი აღიარებულია აქტივის შეძენის ღირებულების ან ხარჯების ნაწილად.
- ვალდებულებები და მოთხოვნები მოიცავს დამატებულ ღირებულების გადასახადს.

დამატებული ღირებულების გადასახადის თანხები, რომლებიც მისაღებია ან გადასახდელია საგადასახადო ორგანოსთვის, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება როგორც ვალდებულება ან მოთხოვნა.

3.7 ფული და ფულის ექვივალენტები

ფინანსურ ანგარიშგებაში ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ნაღდი ფულისა და მიმდინარე საბანკო ანგარიშებისგან.

3.8 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება მოსალოდნელი შემოსავლების ღირებულების მიხედვით, საეჭვო ვალების რეზერვის გამოკლებით (თუ ასეთი რამ მოითხოვს წარმოებას).

3.9 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების საწყისი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, მაგრამ შემდგომში ისინი არ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

3.10 სესხები

სასესხო ვალდებულებების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით.
კომპანიას საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ამ ეტაპზე გააჩნია შემდეგი სასესხო ვალდებულებები, მათ შორის:

1. ფ/პ ნუგზარ გორჯოლაძის მიმართ.

3. მნიშვნელოვანი საალრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

3.11 მსს ფასს-ის ახალი სტანდარტები, რომელიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული.

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები, შესწორებები სტანდარტებში და ინტერპრეტაციები, რომლებიც 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯერ არ არის შესული ძალაში და არ გამოყენებულა ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სავარაუდოდ შემდეგი ცვლილებები გავლენას მოახდენენ კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზე.

კომპანია გეგმავს აღნიშნული სტანდარტების ცვლილებების ასახვას მათი ძალაში შესვლისთანავე.

4. მნიშვნელოვანი საღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭირო გახდა გარკვეული შეფასებების და დაშვებების გამოყენება. ეს შეფასებები და დაშვებები აისახება ანგარიშგების თარიღისთვის აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე პირობითი ვალდებულებების აღრიცხულ ოდენობაზე და ასევე გავლენას ახდენს პერიოდის გაცხადებულ შემოსავალზე და ხარჯებზე. მიუხედავად იმისა, რომ შეფასებები ეყრდნობა ხელმძღვანელობის ინფორმირებულობას და ანგარიშგების თარიღისთვის არსებული მოვლენების ანალიზს, ისინი შეიძლება ზუსტად არ ასახავდეს რეალობას.
ქვემოთ განხილულია ანგარიშგების დღეს მომავლის შესახებ გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებების უზუსტობის სხვა ძირითადი მიზეზები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფისკალურ პერიოდში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი კორექტივების შეტანის აუცილებლობა გამოიწვიოს.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მენეჯმენტმა უნდა შეაფასოს, გამოთქვას მოსაზრებები და მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც გავლენას მოახდენს შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების რაოდენობაზე. გარკვეულმა დაშვებებმა და შეფასებებმა შეიძლება საჭირო გახადონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების კორექტირება მომავალ პერიოდებში.

მენეჯმენტმა გააკეთა დაშვება, რომ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არც ერთი არსებული სავაჭრო მოთხოვნა, არ იყო უიმედო და არ საჭიროებდა გაუფასურების რეზერვის შექმნას. რადგან საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებულმა დებიტორების უმეტესმა ნაწილმა, ანგარიშის ხელმოწერის თარიღისთვის, გარკვეული ოდენობით დაფარეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დაგროვილი დავალიანება.

5. კომპანიის შემოსავალი და რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება

კომპანიის ძირითადი შემოსავალი შედგება, როგორც ზემოდ ითქვა, უცხოური და ადგილობრივი ავიაკომპანიებისათვის სატვირთო, სატრანზიტო და სამგზავრო ჩარტერული ავიაგადაზიდვებისთვის სხვადასხვა სახეობის სააეროპორტო მომსახურების მიწოდებიდან მიღებული შემოსავლებისაგან.
ამავდროულად შემოსავლის მიღების კიდევ ერთი დამატებითი წყაროა სხვა იურიდიულ პირებისათვის ავტოსატრანსპორტო მომსახურების გაწევა.
კომპანია შპს გ.ჰ.კ. „თბილისი. TBS"-სთვის რეალიზებული სააეროპორტო მომსახურების საქმიანობის თვითღირებულებას წარმოადგენს საკუთარი ძალებით სააეროპორტო მომსახურების გასაწევად განხორციელებული დანახარჯების ღირებულება. იმის გამო, რომ კომპანია დამოუკიდებელია, ამიტომ იღებს გადაწყვეტილებებს და რისკებს ასეთი მომსახურების გაწევის პირობებთან დაკავშირებით, იგი ასრულებს არა აგენტის, არამედ სუპერვაიზერის აქტიურ ფუნქციას.

შემოსავლები	2021 წელი	2020 წელი
ამონაგები ძირითადი სააეროპორტო საქმიანობიდან	566493,00	486800,00
ამონაგები ავტოსატრანსპორტო მომსახურებიდან	149392,00	109678,00
სხვა საოპერაციო შემოსავლები	0,00	0,00
არასაოპერაციო დადებითი ეფექტი (საკურსო/გადაფასებები)	0,00	136565,00

საკუთარი ძალებით გაწეული ხარჯები (თვითღირებულება)	2021 წელი	2020 წელი
	182 788,00	0,00

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2021 წელი	2020 წელი
ხელფასები	342629,00	222102,00
იჯარის ხარჯი	41507,00	35240,00
ცვეთა და ამორტიზაცია	54716,00	51529,00
ბანკის მომსახურების ხარჯი	19759,00	7007,00
კომპიუტერული ტექნიკის და ინვენტარის ხარჯი	2214,00	3382,00
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	0,00	2401,00
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი	13276,00	9500,00
მივლინების და წარმომადგენლობის ხარჯი	3587,00	514,00
სხვა შეძენილი მომსახურება	13500,00	325856,00
სხვა საოპერაციო ხარჯი	9707,00	53023,00
სულ საერთო ადმინისტრაციული ხარჯი	**500895,00**	**710254,00**

2021 წლის განმავლობაში კომპანიას სრულ განაკვეთზე საშუალოდ დასაქმებული ჰყავდა 19 თანამშრომელი. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების ნახევარზე მეტი ხელფასის ხარჯია (342629,00 ლარი, საპენსიო ანარიცხის ჩათვლით). ამასთან, აღსანიშნავია, რომ იჯარის ხარჯი (41507,00 ლარი), წარმოადგენს კომპანიის მიერ თბილისის აეროპორტის შიდა ტერიტორიაზე აღებულ ადმინისტრაციული და ტექნიკური ფართების დაქირავების ხარჯებს.

7. სხვა საოპერაციო/არასაოპერაციო ხარჯი

შპს გ.ჰ.კ. „თბილისი. TBS" -ის 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის დაფიქსირებული სხვა საოპერაციო ხარჯი.

კომპანიას 2021 და 2020 საანგარიშო წლის განმავლობაში მიღებული აქვს არასაოპერაციო საქმიანობიდან შემდეგი სახეობის ხარჯები, რომლებიც არ არარიან გათვალისწინებული დასბეგრ მოგების მირების ხარჯებში (საგადასახადო მიზნებიდან გამომდინარე):

	2021 წელი	2020 წელი
საკურსო სხვაობა და გადაფასებიდან	49020,00	0,00
ქველმოქმედებიდან (სტატუსიანი ორგანიზაციები)	2290,00	3250,00
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	6984,00	0,00
სულ არასოპერაციო ხარჯი	**58294,00**	**3250,00**

8. ფინანსური ხარჯი

	2021	2020
ფინანსური ხარჯი არა ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხებ თანხებზე (ა)	0,00	0,00
ფინანსური ხარჯი ბანკისგან აღებულ სესხებზე(ბ)	0,00	0,00
სულ ფინანსური ხარჯი	**0,00**	**0,00**

ა. არასაფინანსო ინსტიტუიდან - პარტნიორებისაგან სესხად კლასიფიცირებულ თანხები ფიქსირდება მოცემულ საანგარიშგები წლის მიხედვით.
ბ. ამასთან, კომპანიას აქვს აღებული სესხი ფ/პირისგან 2018 საანგარიშო წელს თანხით 86000,00აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში, შესაბამისი კურსით ყოველი წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

9. ფული და ფულის ექვივალენტები

	31.12.2021	31.12.2020	31.12. 2019
ფული ბანკში	1119579,00	844672,00	635994,00
ფული სალაროში	3,00	0,00	0,00
	1119582,00	844672,00	635994,00

ფულს ბანკში ერიცხება 0% საპროცენტო სარგებელი.

10. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	31.12.2021	31.12.2020	31.12. 2019
მოთხოვნები იურიდიული პირების მიმართ	87840,00	115296,00	79749,00
მოთხოვნები კერძო პირების მიმართ	0,00	0,00	0,00
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	0,00	0,00	0,00
სხვა მოთხოვნები (გაცემული ავანსები)	0,00	0,00	0,00
სავაჭრო მოთხოვნები	**87840,00**	**115296,00**	**79749,00**

შპს გ.ჰ.კ. „თბილისი.TBS"-ის მიერ გაწეული სააეროპორტო მომსახურების საქმიანობიდან წარმოქმნილ მოთხოვნებს უკავია არსებითი ნაწილი, რაც შეესაბამება კომპანიის საქმიანობის სპეციფიკას. აღნიშნული მოთხოვნები წარმოადგენენ უპროცენტო ვალებს. საანგარიშგები პერიოდის შემდგომ, 2022 წლის 01 სექტემბრის მდგომარეობით, კომპანიას უმეტესი ნაწილის ოდენობით ჰქონდა მიღებული 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული სავაჭრო მოთხოვნები, დანარჩენ მოთხოვნებზე კომპანია არ ქმნის უიმედო დანაკარგების რეზერვს იმის გამო, რომ არსებობს გონიერი რწმუნებულება, რომ აღნიშნული დებიტორები 2022 წლის ბოლომდე თავის დავალიანებებს დაფარავენ.

11. კაპიტალი

11.1 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა შეადგენს 7000,00 ლარს.
2021 წლის განმავლობაში საწესდებო კაპიტალში ცვლილებები არ მომხდარა.

11.2 დივიდენდები

პარტნიორთა კრება წყვეტს გასაცემი დივიდენდების ოდენობის საკითხს და ადგენს დივიდენდების გაცემის და პარტნიორებს შორის განაწილების წესს. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე პარტნიორთა შორის დივიდენდების განაწილება უნდა მოხდეს კომპანიის საწესდებო კაპიტალში მათი წილობრივი მონაწილეობის პროპორციულად.
ამავდროულად პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე დივიდენდის განაწილება არ ხორციელდება, რადგან გაუნაწილებელი მოგება მიმართულია რეზერვებში ძირითადი აქტივების შეძენის დასაფინანსებლად, ანუ ხორციელდება მისი კაპიტალიზირება.

2021 და 2020 წლების განმავლობაში არ გამოცხადებულა დივიდენდების დარიცხვა და განაწილება.

11.3 ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანია შპს გ.ჰ.კ. „თბილისი.TBS" ამ ეტაპზე არის რენტაბელური და ლიკვიდური, მიმდინარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებული იქნა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე და გაგრძელდება ექსპლუატაციის ფაზაზე უახლეს მომავალში. კომპანიას არ აქვს განზრახვა და არც საჭიროება ფულად აქციოს ან მატერიალურად შეზღუდოს თავისი საქმიანობის მასშტაბი. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

12. წინასწარ გადახდილი გადასახადები

კომპანიას წინა 2020 საანგარიშგეებო წლის დასაწყისში ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი თანხის სახით ჰქონდა 51982,00 ლარი. 2020 წლის ბოლოსთვის კომპანიამ გამოიმუშავა 77880,00 ლარის ზედმეტობა, რაც სრულადაა დაკავშირებული დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მიღებულ ჩათვლასთან, ხოლო 2021 წლის ბოლოსთვის ნაშთი ზედმეტობისა შეადგენს 47904,00 ლარს, აღნიშნული შემცირება აგრეთვე დაკავშირებულია დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მიღებულ ჩათვლებთან და ჩათვლილ გადასახადებთან.

2021 წლის განმავლობაში, იმის მიუხედავად რომ კომპანიას ბიუჯეტში აქვს ზედმეტობა, დამატებით აკეთებს საშემოსავლო გადასახადის სახით გადარიცხვებს.

კომპანია დრო და დრო ახდენს აღნიშნული ზედმეტობის ჩათვლას მიმდინარე პერიოდების რიცხული ვალდებულების დასაფარად, შესაბამისად აღნიშნული აქტივი სრულად ექვემდებარება გამოყენებას.

13. მიღებული სესხები

შპს გ.ჰ.კ. ,,თბილისი.TBS" -ს 2020 და 2021 საანგარიშო წლის განმავლობაში შესაბამის საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტებიდან არ ჰქონდა მიღებული არცერთი სახეობის სესხი.

14. მომწოდებლების მიმართ ვალდებულებები

	31.12.2021	31.12.2020	31.12. 2019
ვალდებ. მოწოდებიდან და მომსახურებიდან	307444,00	364784,00	168957,00
ვალდებ. მიღებული ავანსებიდან	0,00	0,00	0,00
სხვა ვალდებულებები	0,00	0,00	0,00
სულ ვალდებულებები	**307444,00**	**364784,00**	**168957,00**

შპს გ.ჰ.კ. ,,თბილისი.TBS" -ის მიერ მიღებული მომსახურების მომწოდებლები 2020 და 2021 წლის განმავლობაში არიან საქართველოს და უცხოეთის კომპანიები. შესაბამისად, 2020 და 2021 საანგარიშგებო წლების ბოლოს, ამ მომსახურებების შესყიდვებთან დაკავშირებული ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებში არსებულ დავალიანებებს ადასტურებს, რაზეც არის შექმნილი შესაბამისი შედარების აქტები.

15. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო დებეგვრა საქართველოში

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს კანონმდებლობაში ხშირი ცვლილებები. ოფიციალური გამონათქვამები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, ეწინააღმდეგება ერთმანეთს და სხვადასხვა ინტერპრეტაციას ექვემდებარება, მაშასადამე პრაქტიკული არ იქნება შესაძლო დაუზუსტებელი ზარალის ოდენობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან მათი უარყოფითი შედეგის ალბათობის განსაზღვრა. საგადასახადო ორგანოები უფლებამოსილნი არიან შეამოწმონ წინა სამი კალენდარული წლის მომცველი პერიოდი. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცვას.

ამ გარემოებამ შესაძლოა შექმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ მიერ აღიარებული საგადასახადო ვალდებულებები შესატყვისობაშია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობასთან.
თუმცა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს და გავლენას ახდენდეს ამ ფინანსურ ანგარიშგებებზე.
თუ აღნიშნული საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაცია იყო მართალი, მათი ინტერპრეტაციის განხორციელებისას შეიძლება იყოს მიღებული მნიშვნელოვანი საგადასახადო რისკი.

ყოველი საანგარიშო თარიღის მიხედვით ხელმძღვანელობა ახდენს საგადასახადო რისკების შეფასებას და განიხილავს იმ შემთხვევებს, რომლებიც შეიძლება შესწავლილი იქნას საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ. როცა ამის რისკის დადგომის ალბათობა იქნება მაღალი, კომპანია შექმნის შესაბამის რეზერვებს.

16. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

16.1 გადახდები კომპანიის მომუშავე პერსონალზე

თანამშრომლებზე გაცემულ ხელფასები 2021-2020 (საპენსიო ანარიცხის ჩათვლით) წლებში:

	2020	2020
გაცემულ ხელფასები სულ	342629,00	222102,00

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიმართ არსებული დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები 2022 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით დაფარული აქვთ უმრავლესობას. ყველა არსებითი კრედიტორულ დავალიანებაზე წარმოდგენილია შესაბამისი შედარების აქტი დადასტურებული ორივე მხარის მიერ.
დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების წარმოქმნა კომპანიის საქმიანობის უწყვეტი პროცესის ჩვეულებრივი თანმდევი მოვლენაა.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტების გარდა, ჩვენი აზრით, საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.

აღსანიშნავია დავადასტუროთ ის ფაქტი, რომ მსოფლიო მასშტაბით მძვინვარე COVID-ის პანდემია და მათ შორის ჩვენთანაც საქართველოში, რაც არსებით და საგრძნობ ზემოქმედებას ახდენს ნებისმიერი სახეობის ბიზნესის წარმოებაზე და მის შედეგებზე, განსაკუთრებით ავიაციის სფეროში. აღნიშნული შეეხო რათქმა უნდა ჩვენს კომპანიასაც, რამაც გამოიწვია გარკვეული ვარდნა შემოსავლების ნაწილში, გაართულა კომუნიკაცია და თანამშრომლობა.

კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს გაიანგარიშოს და დაგეგმოს თავისი შემდგომი ბიზნეს ნაბიჯები, მაგრამ მსოფლიო პანდემიის და არასტაბილურ გარემოს პირობებში აღნიშნულის მიღწევა ძალზედ რთულია, რომ არ ითქვას რომ შეუძლებელია.

ხელმძღვანელი:

ბუღალტერი: